		2.6.4. მოსახლეობისთვის უზრუნველყოფილია სახელმწიფო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	2.6.4.ა. მომზადებულია სახელმწიფო პროგრამების შესახებ საინფორმაციო პაკეტი 2.6.4.ბ. მომზადებულია საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამების შესახებ ინფორმაცია 2.6.4.გ. ინფორმაცია გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე, დაბეჭდილია და გავრცელებულია საინფორმაციო ბუკლეტი, მომხმარებლებთან თემში შეხვედრების დროს		მუნიციპალიტეტის მერია	მუნიციპალიტეტის საკრებულო	2024-2026 წ.წ.
		2.6.4. მოსახლეობისთვის უზრუნველყოფილია სახელმწიფო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	2.6.4.ა. მომზადებულია სახელმწიფო პროგრამების შესახებ საინფორმაციო პაკეტი 2.6.4.ბ. მომზადებულია საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამების შესახებ ინფორმაცია 2.6.4.გ. ინფორმაცია გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე, დაბეჭდილია და გავრცელებულია საინფორმაციო ბუკლეტი, მომხმარებლებთან თემში შეხვედრების დროს		მუნიციპალიტეტის მერია	არასამთავრობო ორგანიზაციები	2024-2026 წ.წ.
	<b>2.7. მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი ჯგუფების, აგრეთვე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სოციალურად გააქტიურების მიზნით გათვალისწინებულია მუნიციპალური პოლიტიკის შემუშავებისა და</b>	2.7.1. შესწავლილია მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი ჯგუფების, აგრეთვე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირების და ეთნიკური უმცირესობების საჭიროებები გენდერულ კრილში	2.7.1.ა. მოწყვლად და სოციალურად დაუცველი ჯგუფების, აგრეთვე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირების და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა 2.7.1.ბ. შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ კრილში 2.7.1.ე. ჩატარებული საჭიროებათა კვლევის ანგარიში, დასკვნები და რეკომენდაციები		მუნიციპალიტეტის მერია	მუნიციპალიტეტის საკრებულო	2024-2026 წ.წ.
		2.7.2. საჭიროებათა შესწავლის საფუძველზე მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი ჯგუფების, აგრეთვე	2.7.2.ა. გენდერულად დაბალანსებული მუნიციპალური პოლიტიკის განსაზღვრის დოკუმენტები და მოწყვლადი ჯგუფებისთვის მომზადებული პროგრამები		მუნიციპალიტეტის მერია	მუნიციპალიტეტის საკრებულო	2024-2026 წ.წ.

	<b>განხორციელებისას გენდერული ასპექტები</b>	მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სოციალურად გააქტიურების მიზნით შემუშავებულია და ხორციელდება შესაბამისი მუნიციპალური პოლიტიკა და პროგრამები გენდერული ასპექტების გათვალისწინებით	2.7.2.ბ. მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მიერ ორგანიზებული აქტივობების რაოდენობა  2.7.2.გ. აქტივობებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში  2.7.3.დ. ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამები და მათი წილი ბიუჯეტის საერთო ხარჯებში			გენდერული თანასწორობის საბჭო  მუნიციპალიტეტის მერია			
		2.7.3. მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი ჯგუფების, აგრეთვე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობების ქალების და ახლაგაზრდების ეკონომიკური გაძიერებისათვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია საგანმანათლებლო, სამეურნეო და სხვა სახის პროგრამებზე	2.7.3.ა. საინფორმაციო ბაზა სახელოვნებო- შემოქმედებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე  2.7.3.ბ. პროგრამებში ჩართულები მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი, აგრეთვე შშმ და ეთნიკური უმცირესობების ქალების და გოგონების რაოდენობა			მუნიციპალიტეტის საკრებულო  მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო  მუნიციპალიტეტის მერია			2024-2026 წ.წ.
<b>მიზანი</b>	<b>ამოცანა</b>	<b>საქმიანობა</b>	<b>საქმიანობის ინდიკატორი</b>	<b>ბიუჯეტი</b>	<b>დაფინანსების წყარო</b>	<b>პასუხისმგებელი უწყება</b>	<b>პარტნიორი უწყება</b>	<b>შესრულების ვადა</b>	
<b>3. გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის</b>	<b>3.1. მოსახლეობის ინფორმირებულობა გაზრდილია საზიანო პრაქტიკებზე, ქალთა მიმართ და ოჯახში</b>	3.1.1. ჩატარებულია მუნიციპალიტეტის ყველა თემსა და დასახლებაში მოსახლეობასთან საინფორმაციო/საკონსულტაციო შეხვედრები თემებზე,	3.1.1.ა. მუნიციპალიტეტის თემებსა და დასახლებებში ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა			მუნიციპალიტეტის საკრებულო  მუნიციპალიტეტის გენდერული	არასამთავრობო ორგანიზაციები	2024-2026 წ.წ.	

<p>(განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების) ცნობიერება გაზრდილია</p>	<p>ძალადობაზე, მის ფორმებზე და სახელმწიფოში არსებულ ეროვნულ რეფერალურ მექანიზმებზე</p>	<p>გენდერული თანასწორობა, საზიანო პრაქტიკები და სხვა</p>	<p>3.1.1.ბ. შეხვედრებზე მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში</p>			<p>თანასწორობის საბჭო</p> <p>მუნიციპალიტეტის მერია</p>		
		<p>3.1.2. ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე სკოლის მოსწავლეების, ახალგაზრდების და სკოლის პედაგოგების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით ჩატარებულია შეხვედრები და დისკუსიები მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში</p>	<p>3.1.2.ა. ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა</p> <p>3.1.2.ბ. შეხვედრებზე განხილული საკითხების რაოდენობა</p> <p>3.1.2.გ. ჩატარებულ შეხვედრებზე მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში</p>			<p>მუნიციპალიტეტის საკრებულო</p> <p>მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო</p> <p>მუნიციპალიტეტის მერია</p>		<p>2024-2026 წ.წ.</p>
		<p>3.1.3. მომზადებულია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობაზე საინფორმაციო სტრატეგია</p>	<p>3.1.3.ა. მიღებული საინფორმაციო სტრატეგიის დოკუმენტი</p>			<p>მუნიციპალიტეტის საკრებულო</p> <p>მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო</p> <p>მუნიციპალიტეტის მერია</p> <p>საბჭო</p>	<p>არასამთავრობო ორგანიზაციები</p>	<p>2024-2026 წ.წ.</p>
		<p>3.1.4. მომზადებული და გავრცელებულია საინფორმაციო ბროშურა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობაზე, მის ფორმებზე, საზიანო პრაქტიკებზე და სახელმწიფოში არსებულ სერვისზე, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.</p>	<p>3.1.4.ა. დაბეჭდილი და გავრცელებული საინფორმაციო ბროშურების რაოდენობა</p> <p>3.1.4.ბ. მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ბროშურა</p>			<p>მუნიციპალიტეტის საკრებულო</p> <p>მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო</p> <p>მუნიციპალიტეტის მერია</p>	<p>არასამთავრობო ორგანიზაციები</p>	<p>2024-2026 წ.წ.</p>
		<p>3.1.5. სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად შემუშავებულია და განხორციელებულია</p>	<p>3.1.5.ა. მიღებული გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ღონისძიებების გეგმა</p>			<p>მუნიციპალიტეტის საკრებულო</p>	<p>არასამთავრობო ობო</p>	<p>2024-2026 წ.წ.</p>

	გენდერული მალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ღონისძიებების გეგმა	3.1.5.ბ. კამპანიის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიების რაოდენობა 3.1.5.გ. კამპანიაში მონაწილე ბენეფიციარების რაოდენობა			მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო  მუნიციპალიტეტის მერია	ორგანიზაციები		
3.2. დაგეგმილია და გატარებულია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საზიანო პრაქტიკების პრევენციული ღონისძიებები	3.2.1. ოჯახში ძალადობის პრევენციისა და გამოვლენის მიზნით სოფლებში და თემში არაფორმალური ლიდერების წარმოჩენა და მათთან თანამშრომლობა	3.2.1.ა. ყველა თემში და სოფელში გამოვლენილი არაფორმალური ლიდერი  3.2.1.ბ. არაფორმალურ ლიდერებთან ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობაზე და საზიანო პრაქტიკებზე ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა			მუნიციპალიტეტის საკრებულო  მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო  მუნიციპალიტეტის მერია	არასამთავრობო ორგანიზაციები	2024-2026 წ.წ.	
	3.2.2. სკოლის მოსწავლეებთან ჩატარებულია საინფორმაციო შეხვედრები ადრეული ქორწინების და საზიანო პრაქტიკების პრევენციის ხელშესაწყობად	3.2.2.ა. სკოლის მოსწავლეებთან ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა 3.2.2.ბ. შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში 3.2.2.გ. შეხვედრებზე გამოყენებული მასალები (კინო ჩვენება და დისკუსია)			მუნიციპალიტეტის საკრებულო  მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო  მუნიციპალიტეტის მერია	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო  სახალხო დამცველი  არასამთავრობო ორგანიზაციები		2024-2026 წ.წ.
	3.2.3. დაგეგმილია საკონსულტაციო/საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება ქალეზზე და გოგონებზე ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის და ადამიანის უსაფრთხოებასთან	3.2.3.ა. საკონსულტაციო/საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა  3.2.3.ბ. დევნილი, კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგონებისათვის სამართლებრივი ცნობიერების ასამაღლებლად კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის			მუნიციპალიტეტის საკრებულო  მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა,		2024-2026 წ.წ.

	<p>დაკავშირებული სხვა რისკების პრევენციისათვის</p> <p>3.2.3. ა) გაძლიერებულია კაცების ჩართულობა გენდერული თანასწორობის გაძლიერების და ქალთა მიმართ, ძალადობის პრევენციისათვის</p>	<p>და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის შესახებ ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა და მათში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში</p>			<p>მუნიციპალიტეტის მერია</p>	<p>განსახლები სა და ლტოლვილ თა სამინისტრ ო</p> <p>არასამთავრო ობო ორგანიზაც იები</p>	
	<p>3.2.5. შემუშავებულია ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთათვის/სავარაუდო მსხვერპლთათვის დახმარების პროგრამა</p>	<p>3.2.4.ა. დამტკიცებული დახმარების პროგრამა</p> <p>3.2.4.ბ. მუნიციპალიტეტის მიერ სავარაუდო მსხვერპლებისათვის და მსხვერპლებისათვის გაწეული იურიდიულ კონსულტაცია და დახმარება</p>			<p>მუნიციპალიტეტის საკრებულო</p> <p>მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო</p> <p>მუნიციპალიტეტის მერია</p>	<p>არასამთავრო ობო ორგანიზაც იები</p>	<p>2024-2026 წ.წ.</p>
<p><b>3.3. ა) გაზრდილია ქალთა როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში</b></p> <p><b>ბ) აქტიური მამობა წახალისებულია</b></p>	<p>3.3.1. ა) დაგეგმილია კულტურულად და გენდერულად მგრძობიარე ასაკზე მორგებული ღონისძიებები ბაშვეებისა და მშობლებისათვის (თოჯინების სპექტაკლის ეჩვენება, თემატური ფილმები)</p> <p>ბ) დაგეგმილია ინტერვენციები გენდერული სტერეოტიპების და ნორმების ცვლილებების წახალისებისათვის</p> <p>გ) მნიშვნელოვანი თარიღები აღნიშნულია და ჩატარებულია</p>	<p>3.3.1.ა სოციალურად დაუცველ, მარტოხელა და მრავალშვილიან დედებისათვის გაცემულია ერთჯერადი მატერიალური დახმარება</p> <p>3.3.1.ბ. ღონისძიებების და მონაწილეების რაოდენობა</p> <p>3.3.1.გ. სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებების რაოდენობა და</p> <p>3.3.1.დ) მონაწილე ბენეფიციარების რაოდენობა</p>			<p>მუნიციპალიტეტის საკრებულო</p> <p>მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო</p> <p>მუნიციპალიტეტის მერია</p>	<p>არასამთავრო ობო ორგანიზაც იები</p>	<p>2024-2026 წ.წ.</p>



		<p>სხვადასხვა ღონისძიებები:</p> <p>ა) დედის დღე</p> <p>ბ) ქალთა საერთაშორისო დღე</p> <p>გ) მშვიდობის დღე</p> <p>დ) სოფლად მცხოვრები ქალების დღე და სხვა...</p> <p>ე) მამის დღე (16 ივნისი)</p>	<p>3.3.1. ე) ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა მამების და შვილების მონაწილეობით</p>						
		<p>3.3.2. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად დაგეგმილი და განხორციელებულია კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიებები: გამოფენები, ფილმის ჩვენება და დისკუსია;</p>	<p>3.3.2.ა. ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა</p> <p>3.3.2.ბ. ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში</p> <p>3.3.2. გ. ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში</p>			<p>მუნიციპალიტეტის საკრებულო</p> <p>მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო</p> <p>მუნიციპალიტეტის მერია</p>	<p>საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო. არასამთავრობო ორგანიზაციები</p>	<p>2024-2026 წ.წ.</p>	
		<p>3.3.3. შექმნილია სხვადასხვა პროფესიული უნარების მქონე ქალთა მონაცემთა ბაზა და ხელშეწყობილია ქალთა დასაქმება</p>	<p>3.3.3 ა) დაგეგმილია საზოგადოებრივი ღონისძიებები.</p> <p>3.3.3.ბ) შექმნილი და ფორმირებული ქალთა მონაცემთა ბაზა</p> <p>3.3.3.ბ ბაზაში შემავალ ქალთა რაოდენობა</p> <p>3.3.3.გ ბაზიდან დასაქმებულ ქალთა რაოდენობა</p>			<p>მუნიციპალიტეტის საკრებულო</p> <p>მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო</p> <p>მუნიციპალიტეტის მერია</p>	<p>არასამთავრობო ორგანიზაციები</p>	<p>2024-2026 წ.წ.</p>	
<b>მიზანი</b>	<b>ამოცანა</b>	<b>საქმიანობა</b>	<b>საქმიანობის ინდიკატორი</b>	<b>ბიუჯეტი</b>	<b>დაფინანსების წყარო</b>	<b>პასუხისმგებელი უწყება</b>	<b>პარტნიორი უწყება</b>	<b>შესრულების ვადა</b>	
<b>4. ქალთა მეწარმეობის უნარების და</b>	<b>4.4.1. ხელშეწყობილი იქნება ქალთა</b>	4.4.4.1 უზრუნველყოფილია დაინტერესებულ მხარეთა აქტიური ჩართულობა და	4.4.4. 1 ა) მუნიციპალიტეტში ჩატარებული სწავლება - შეხვედრების რაოდენობა			მუნიციპალიტეტის საკრებულო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2024-2026 წ.წ.	

<p><b>სამეწარმეო კულტურის დონე ამაღლებულია</b></p> <p><b>უზრუნველყოფილიაი ნკლუზიური ეკონომიკური ზრდის ციფრული ტრანსფორმაციის დემოკრატიზაციის და ბიზნესში ქალების ონლაინ უსაფრთხოება</b></p>	<p><b>გამლიერება ციფრულ ეკონომიკაში</b></p>	<p>ჩამოყალიბებულია ერთობლივი გაგება თუ როგორ მოქმედებს ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ძალადობა გენდერული ნიშნით ციფრული ეკონომიკის უსაფრთხოებასა და ხელმისაწვდომობაზე</p>				<p>მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო</p> <p>მუნიციპალიტეტის მერია</p>	<p>იეზი: MERCY CORPS, GCSD</p>	
		<p>4.4.4.2. დანერგილია წარმატებული ინიციატივების ქალთა ონლაინ უსაფრთხოებისა და ბიზნესის გაუმჯობესებისათვის.</p>	<p>4.4.4.1 ბ. ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა</p>			<p>მუნიციპალიტეტის საკრებულო</p> <p>მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო</p> <p>მუნიციპალიტეტის მერია</p>	<p>MERCY CORPS, GCSD</p>	<p>2024-2026 წ.წ.</p>
		<p>4.4.4.3 ვირტუალური სამყარო რეალურია და აღმოფხვრილია TFGBV კიბერძალადობა ქალებისა და გოგონების მიმართ ( აგრეთვე გენდერული ნიშნის ან რასის, ასაკის, შეზღუდული პასუხისმგებლობის, პროფესიის ან პიროვნული რწმენის)</p>	<p>4.4.4.ა. შხვედრა - სწავლების, ღონისძიებების რაოდენობა.</p>			<p>მუნიციპალიტეტის საკრებულო</p> <p>მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო</p> <p>მუნიციპალიტეტის მერია საბჭო</p>	<p>არასამთავრობო ორგანიზაციები</p> <p>MERCY CORPS, GCSD</p>	<p>2024-2026 წ.წ.</p>

<p>5. გაზრდილია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერება ფსიქოაქტიური ნივთიერებების და სხვა ძალადობრივი ქმედებების პრევენციის აუცილებლობაზე</p>	<p><b>5.5.5.1 მოსახლეობის ინფორმირებულობა გაზრდილია ფსიქოაქტიური ნივთიერებებისა და სხვა ძალადობრივი ქმედებების პრევენციის მნიშვნელობაზე, პრევენციისათვის საჭირო მექანიზმებზე და პრაქტიკებზე</b></p>	<p>5.5.5.1. ა) შექმნილია პრევენციაზე მომუშავე სათემო კოალიცია</p> <p>ბ) შემუშავებულია კოალიციის სამოქმედო სტრატეგიის და გეგმა</p> <p>5.5.5.2 დაგეგმილია საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებები: ფილმების ჩვენება და დისკუსიები;</p>	<p>5.5.5. 1 ბ)) ჩატარებულია სათემო კოალიციის შეხვედრები მოსახლეობასთან</p> <p>ბ) გახორციელებულია სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ღონისძიებები</p>			<p>კულტურისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება გენდერული საბჭო სათემო კოალიცია</p>	<p>საზოგადოებრივი ორგანიზაციები.</p>	<p>2024-2026</p>
---	---	---	---	--	--	--	--------------------------------------	------------------

ახალციხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024-2026 წლების სამუალოვადიანი სტრატეგია

თავი I

ახალციხის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სტრატეგიული მიმართულებები და მიზნები

**მუხლი 1**

სტრატეგია განსაზღვრავს ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024-2026 წლების გენდერულ პოლიტიკას და გენდერული თანასწორობის მიზნის მისაღწევად პრიორიტეტულ მიმართულებებს.

ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება ადგილობრივი მოქალაქეების საჭიროებების შესაბამისად, თვითმმართველობის პროცესში ქალთა და მამაკაცთა საჭიროებებისა და ინტერესების თანასწორი გათვალისწინებით.

სტრატეგია ითვალისწინებს ერთობლივ მიდგომას თვითმმართველობის განხორციელების პროცესში, შესაბამისი სამსახურების საქმიანობის უზრუნველყოფას გენდერული თანასწორობის, დისკრიმინაციის აღმოფხვრის ქალის და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობისათვის აუცილებელი გარემოს შექმნას როგორც ინფრასტრუქტურული, ისე განათლების კულტურის და სოციალური მიმართულებით.

2018-2020 წლების მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის თვითშეფასების და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ)-ის ექსპერტის მიერ ჩატარებული მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა საჭიროებების კვლევის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი მიმართულებები:

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ სტრუქტურებში გენდერული თანასწორობის სამართლებრივ-ორგანიზაციული უზრუნველყოფა.
2. მუნიციპალიტეტის საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა.
3. კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საკითხებსა და სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა.
4. სოციალურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა.
5. გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა.
6. ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა.

## თავი II

### სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები

მუხლი 2. ახალციხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ სტრუქტურებში გენდერული თანასწორობის სამართლებრივ-ორგანიზაციული უზრუნველყოფა

ამ მიმართულების პრიორიტეტებია:

1. გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმა – მოიცავს:

- ახალციხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2021-2023 წლების მუნიციპალური გეგმის შეფასებისა და საჭიროებების კვლევის შედეგების საფუძველზე, 2024 -2026 წლების გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმის შემუშავება და საკრებულოს მიერ დამტკიცებას.
- ახალი 2024 -2026 წლების მუნიციპალური გეგმის განხორციელების მატერიალურ ტექნიკურ უზრუნველყოფას;
- გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და ანგარიშგების წესების განსაზღვრას;
- შეფასების შედეგად იდენტიფიცირებული საჭიროებების გათვალისწინებით ახალი 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებას, დამტკიცებასა და განხორციელებას.

2. ახალციხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების სრულყოფა და სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა – მოიცავს:

- მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შეფასებას;
- შეფასების შედეგად იდენტიფიცირებული საჭიროებების შესაბამისი „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ – სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას;
- „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ – სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგისათვის შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფას;
- საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის გადახედვასა და განახლებას;
- მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერული თანასწორობის განყოფილების საქმიანობის სამართლებრივ ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით საჭიროებების შესწავლის საფუძველზე, საჭიროებების შესაბამისი მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფას.

3. მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და ანგარიშგების სისტემის უზრუნველყოფა – მოიცავს:

- მუნიციპალიტეტის „გენდერული აუდიტის“ განხორციელებასა და შეფასების შესაბამის ცვლილებებს მის საქმიანობაში;
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ სამოქმედო გეგმის მონიტორინგის განხორციელების პერიოდულობის განისაზღვრას, მეთოდოლოგიის დამტკიცებასა და პასუხისმგებელი უწყების იდენტიფიცირებას;
- მონიტორინგის შედეგების მართვისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მიწოდების წესის დამტკიცებას.

**4. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ)-ის მხარდაჭერით შემუშავებული საჭიროებათა კვლევის ინსტრუმენტის დანერგვა – მოიცავს:**

- ჩატარებული კვლევის შედეგების სრულყოფილ მიზნით მეთოდოლოგიით გათვალისწინებული მოსახლეობის ინდივიდუალური გამოკითხვის უზრუნველყოფას;
- მუნიციპალიტეტის მიერ მეთოდოლოგიის დამტკიცებას, მისი შედეგების განახლებისა და მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ასახვის მიზნით;
- მეთოდოლოგიის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებების იდენტიფიცირებას;
- იდენტიფიცირებული პასუხისმგებელი უწყებების წარმომადგენელ პირთა გადამზადებას და კვლევის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ ტექნიკურ უზრუნველყოფას.

**5. გენდერული ჭრილში სტატისტიკური მონაცემების მართვა – მოიცავს:**

- მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გენდერულ ჭრილში სტატისტიკური ინფორმაციის მოკრების, სისტემატიზაციის, დამუშავების, შენახვისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცებას;
- გენდერული სტატისტიკის წარმოებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფას.

**6. დროებითი სპეციალური ზომები ქალთა და მამაკაცთა შორის არსებითი თანასწორობის მიღწევის დაჩქარების მიზნით, როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესში, აგრეთვე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში – მოიცავს:**

- გენდერული თანასწორობის სტიმულირებას ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში;

**7. გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობა – მოიცავს:**

- გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედ ორგანიზაციებთან პერიოდული შეხვედრების ჩატარებას გენდერული თანასწორობის პრობლემურ საკითხებზე და მათ ჩართვას სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში.

**მუხლი 3. მუნიციპალიტეტის საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა**

ამ მიმართულების პრიორიტეტებია:

#### 1. გენდერული ბიუჯეტი – მოიცავს

- მუნიციპალური შემოსავლებისა და ხარჯების გაანალიზებას სქესთან მიმართებაში, თუ რა განსხვავებულ გავლენას ახდენს ქალებისა და კაცების ცხოვრებაზე ბიუჯეტის ხარჯები თუ შემოსავლები;
- პრიორიტეტების განსაზღვრას გენდერული ასპექტების გათვალისწინებით, საბიუჯეტო რესურსების რესტრუქტურირების გენდერული თანასწორობის მიღწევის მიზნით;
- გენდერული ასპექტების გათვალისწინებას საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე;
- ჩატარებული კვლევის შედეგად, მოქალაქეთა საჭიროებების გათვალისწინებით, გენდერულად მგრძობიარე პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცებას.

#### 2. გენდერული ასპექტის გათვალისწინებით მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის სპეციალურ მუნიციპალურ პროგრამათა შემუშავება და განხორციელება – მოიცავს

- ქალებისა და მამაკაცებისათვის საწარმოო რესურსებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ბიზნეს საქმიანობაში ქალთა მონაწილეობის გაზრდისათვის საჭიროებების გამოვლენას, შესაბამისი პროგრამების (საგანმანათლებლო, პრაქტიკული უნარების განვითარების) შემუშავებასა და განხორციელებას; დასაქმების ბაზარზე ქალთა კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად შესაბამისი პირობების შექმნას და ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებთან მათი ადაპტაციის ხელშეწყობას;

#### 3. მუნიციპალურ საწარმოებსა და დაწესებულებებში კონტროლის მექანიზმების დახვეწა საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“ დადგენილი ანტიდისკრიმინაციული ნორმების დაცვაზე და შრომის ანაზღაურების სფეროში გენდერული დიფერენციაციის აღმოსაფხვრელად – მოიცავს,

- როგორც ქალების, ისე კაცებისათვის სამსახურებრივი და ოჯახური ცხოვრების შეთავსების შესაძლებლობების შექმნის მიზნით ღონისძიებათა დაგეგმვას და შესაბამისი მექანიზმების დამკვიდრებას.

#### 4. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება – მოიცავს

- ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე და პოლიტიკურ პროცესებში მათი ჩართულობის სტიმულირებაზე ორიენტირებული მუნიციპალური პროგრამების შექმნას;

#### 5. გენდერული თანასწორობის მისაღწევად საჭირო ღონისძიებების შესაბამისი საბიუჯეტო უზრუნველყოფა – მოიცავს

- მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით შესაბამისი ხარჯების ასახვას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

#### **მუხლი 4. კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საკითხებსა და სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა**

ამ მიმართულების პრიორიტეტებია:

##### **1. კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საკითხებსა და სპორტის სფეროში გენდერულად დაბალანსებული მუნიციპალური პროგრამების დანერგვა და თანაბარი ხელმისაწვდომობა ორივე სქესის წარმომადგენელთათვის – მოიცავს**

- კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საკითხებსა და სპორტის სფეროში მუნიციპალური პროგრამების გენდერული ანალიზის შედეგად, მუნიციპალიტეტში მცხოვრები განსხვავებული სქესის, ასაკობრივი, თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული პროგრამების შემუშავებას.

##### **2. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესებზე, მათ შორის განსხვავებული სქესის, ასაკობრივი ან/და შესაძლებლობების მქონე ჯგუფების ინტერესებზე მორგებული, კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა – მოიცავს**

- მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესწავლას;
- არსებულ თუ შემდგომში დაგეგმილ კულტურულ და სპორტულ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობისა და მოსახლეობის საჭიროებების კვლევას გენდერულ ჭრილში;
- კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული საჭიროებების შესაბამისი კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობას.

##### **3. სოფლად მცხოვრებ ქალთა და გოგონათა პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა – მოიცავს**

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ქალებისა და გოგონების პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის კვლევას;
- კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული საჭიროებების გათვალისწინებით ქალთა და გოგონათათვის პროფესიული განათლების ხელშეწყობი მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას.

#### **მუხლი 5. სოციალურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა**

სოციალურ სფეროში გენდერული თანასწორობის გათვალისწინება და სოციალურად მგრძნობიარე ჯგუფების ინტეგრაცია გულისხმობს, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და გენდერულად დაბალანსებული სოციალური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას, გენდერულ ასპექტთა გათვალისწინებას მოწყვლად ჯგუფთა სოციალური გააქტიურების ხელშესაწყობად, სოციალური ფონის გაუმჯობესებას და პროგრამებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას.



ამ მიმართულების პრიორიტეტია:

### 1. პრიორიტეტული პროგრამების გათვალისწინება სოციალურ პაკეტში – მოიცავს

- მუნიციპალიტეტის შეჭირვებული და მოწყვლადი მოსახლეობის საჭიროებების კვლევას გენდერულ ჭრილში;
- სოციალური პაკეტით გათვალისწინებული პროგრამებით მოსარგებლეთა კვლევას გენდერულ ჭრილში;
- კვლევის შედეგების საფუძველზე სოციალური პაკეტით განსაზღვრული პროგრამების პრიორიტეტების განსაზღვრას და საჭიროების შემთხვევაში ახალი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას.

### მუხლი 6. გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში დაუშვებელია ნებისმიერი დისკრიმინაცია.

ამ მიმართულების პრიორიტეტია:

### პრევენცია და რეაგირების მექანიზმების უზრუნველყოფა - მოიცავს

- მუნიციპალიტეტის საქმიანობა, აგრეთვე სამართლებრივი აქტები და შიდა რეგულაციები, შეუსაბამოს საქართველოს კანონს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ და სხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას;
- დანერგოს დისკრიმინაციის ფაქტზე რეაგირების ეფექტური მექანიზმები;
- უზრუნველყოს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის თავიდან აცილების მიზნით პრევენციული საინფორმაციო საგანმანათლებლო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
- მოახდინოს სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე;
- დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად პასუხისმგებლობა დააკისროს მის დაქვემდებარებაში მყოფ დამრღვევ პირს და უზრუნველყოს დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა მესამე პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეულახავად.

### მუხლი 7. ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა

მინიციპალიტეტი მისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, აგრეთვე არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით ეფექტური პროგრამების დაგეგმარებასა და განხორციელებას

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები გულისხმობს იმ სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და სხვა ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, აგრეთვე არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის მიზეზებისა და წინაპირობების თავიდან აცილებისკენ, ძალადობის აღკვეთისკენ, მოძალადის სამართლებრივი დევნისკენ, მისი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ, მსხვერპლის რეაბილიტაციისა და ადაპტაციისკენ

(საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ მუხლი 6 ვ.1).

ამ მიმართულების პრიორიტეტია:

### 1. პრევენციული ღონისძიებები – მოიცავს

- საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის, მუნიციპალური მმართველობის ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული დაწესებულებების თანამშრომელთათვის;
- ცნობიერების ამაღლების კამპანიების დაგეგმვა და განხორციელება ბავშვთა მიმართ ძალადობისა და „ნაადრევი ქორწინების“ საკითხებთან დაკავშირებით

### 2. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, აგრეთვე არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება – მოიცავს

- შეიმუშაოს და განახორციელოს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, აგრეთვე არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დახმარების მიზნით მუნიციპალური პროგრამები.

## თავი III

### სტრატეგიის მონიტორინგი

#### მუხლი 8

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებას, თავის კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია.

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ყოველწლიურად განიხილავს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ და იღებს გადაწყვეტილებებს, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიმდინარეობის დადებითად შეფასების, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმაში ცვლილების შეტანის, ან/და რეკომენდაციების გაცემის შესახებ.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინაციასა და შესრულებაზე მონიტორინგს ახორციელებს ახალციხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელიც საბჭოს სხდომაზე პერიოდულად განიხილავს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

